პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 42 (3526) 29 1968 წ. თებერვალი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 34-ე წელი.

ოქროს წყვილი ტრადიციის ერთგულია

შვინვა, 28 თებერვალი. ყველაზე მაღალი წოდებების მრავალგზის მფლობელები, შეუდარებელი საბჭოთა ფიგურისტები ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი კვლავ ახლოს არიან შესანიშნავ წარმატებასთან. აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში სავალდებულო პროგრამის შემდეგ ამ მშვენიერმა წყვილმა თავის აქტივში 105,1 ქულა ჩაიწერა. ყველა 9 მაჯამა ერთხმად მიანიჭა ლენინგრადელებს 1 ადგილი.

ისევე, როგორც ამასწინანდელ ოლიმპიურ თამაშებში, ბელოუსოვაია და პროტოპოპოვის გვერდით მოიკალთა მეორე საბჭოთა წყვილმა — ტ. გუმა და ა. გორელიკმა. თუმცა მათ შორის ინტერვალი ახლა უფრო მეტია, ვიდრე გრენობლში იყო. (მოსკოველებმა დააგროვეს 102,7 ქულა, ადგილების ჯამი — 19).

III ადგილზე არიან გდრ-ის წარმომადგენლები ჰ. შტაინერი და ჰ.-უ. ვალტერი, ხოლო IV — ლენინგრადელები თ. მოსკვინა და ა. მიშინი.

ოთხი სავალდებულო ფიგურის შემდეგ ვაჟებში ლიდერი შეიცვალა: დაწინაურდა ავსტრიელი ე. დანცერი — 684,0 ქულა. მან 14 ადგილზე „გადასტვა“ ამერიკელი ტ. ვუდი (674,3). III ადგილზეა ფრანგი პ. კერა (656,3).

ძაფურებლები მოცეკვავეთა ოსტატობითაც დატკბნენ. ორი სავალდებულო ცეკვიდან (სულ 4 ასეთი ცეკვაა) მეძდგ დაწინაურდნენ ინგლისელები: ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები დ. ტაულერი და ბ. ფორდი (97,4 ქულა), ი. სალიკი და მ. კენონი (94,0), ჟ. სობრინი და ჯ. ლეიტი (93,3). IV ადგილზე არიან ი. გრიშკოვა — ვ. რიჟკინი (90,7), ხოლო VI — ლ. პახომოვა — ა. გორშკოვი (88,2).

დღეს, როცა მოსკოვში შუაღამე დადგება, ცოფლიო ჩემპიონატი დაასრულებს თავისი პირველ ლაურეატებს — წყვილთა სრიალში.





„ლელოს“ ინტერვიუ

გონსალესი, გონსალესი, გონსალესი და... პელე

ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტი თ. ბიბინაძე შეხვდა და რამდენიმე შეკითხვით მიმართა ჩოგბურთელთა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის უცხოელ მონაწილეებს — ქალთა ერთეულების შეჯიბრებაში გამარჯვებულ ინგლისელ ვ. უეიდს და ვაჟთა წყვილებში უძლიერესებს პ. ბიოსტასა და დ. კონტეს (ორივე — საფრანგეთი).

● დიდი ხანია ვარჯიშობთ?

პ. ბიოსტი: 10 წელი.

დ. კონტე: ბავშვობიდან. მამაჩემი ჩოგბურთელთა მწვრთნელია და სწორედ მან შემაყვარა ეს თამაში.

ვ. უეიდი: არც კი მახსოვს, რამდენი წლისამ მოკიდე ხელი ჩოგანს. ბავშვობაში დიდ მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მიზახს ჯერ კიდევ ვერ მივაღწიე — ევროპის პირველი ჩოგბურთელი ვერ გავხდი.

● რა აზრისა ხართ მოსკოვის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე?

ბიოსტი: ორი წლის წინ ორივემ პირველად მივიღეთ მონაწილეობა ამ ტურნირში და ფინალური შეხვედრა წავაგეთ ლეიუს — ლიხაჩოვის წყვილთან. ამჯერად I ადგილი დავიკავეთ და ეს უკვე მეხუთე ნაბიჯია. ამასთან, ჩვენ მოვუგეთ ისეთ ძლიერ მეტოქეებს, როგორიც მეტრეველი და ლიხაჩოვი არიან. რაც შეეხება თვით ტურნირს, იგი აქცრადაც საუცხოოდ იყო ორგანიზებული. იგრძნობოდა მაყურებლის გულთბილი დამოკიდებულება და დიდი ინტერესი ჩოგბურთისადმი.

უეიდი: ამ ტურნირში პირველად ვითამაშე. აქ მოპოვებული გამარჯვება ჩემთვის ბევრს ნიშნავს, მით უმეტეს, რომ ბაშეევას მოვუგე. სხვათა შორის, იგი ნიკერი სპორტსმენია, მაგრამ ცოტა ზარმაცია არის. იგი მთელ მოედანზე არც კი იბრძვის, დგას და ბურთს ელოდება. თუ ამ ხაკლს დაძლევს, ბაშეევა ყველასთვის სახიფათო მეტოქე გახდება. ჩვენ სულ ორჯერ შევხვდით ერთმანეთს და ორივეჯერ მე მოვიგე.

● მოგეწონათ თუ არა ტურნირის სხვა მონაწილეები?

უეიდი: გამოვყოფდი მეტრეველს, რომელსაც პირველი კატეგორიის სპორტსმენთა რიგს ვაკუთვნებ. მომეწონა ლიხაჩოვი და ლეიუსი.

ბიოსტი: მე მომეწონა უეიდი, ბაშეევა, მეტრეველი, ლეიუსი, ლიხაჩოვი, კაკულია. მეტრეველი მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულში შედის და ეს უკვე ბევრს ნიშნავს. ტრავმას რომ არ შეეშალა ხელი, იგი მოსკოვის ტურნირში უკეთ ითამაშებდა. მეორე ქართველი ჩოგბურთელი კაკულია მზარდი და ნიჭიერი სპორტსმენია. საწყენია, რომ მან თამქმის მოგებული პარტია წააგო ლიხაჩოვთან.

კონტე: უეიდი და მეტრეველი.

● რა გიტაცებთ ჩოგბურთის გარდა?

ბიოსტი: მუსიკა და არც თუ ცუდად ვუკრავ. მიყვარს ავტოსპორტი.

კონტე: ფეხბურთი, კინო, ესტრადა.

უეიდი: მიყვარს მუსიკა, როგორც სიმფონიური, ისე ჯაზური, მიყვარს წიგნები.

● ვინ არის თქვენი კერპი სპორტში?

ბიოსტი: შესანიშნავი ჩოგბურთელი გონსალესი.

კონტე: გონსალესი და პელე.

უეიდი: გონსალესი.

* * *

სურათებზე: ზევით — ინგლისის მეორე ჩოგანი ვირჯინია უეიდი. როგორც ცნობილია, მან ფინალური შეხვედრა მოუგო სსრ კავშირის ჩემპიონს ვ. ბაშეევას (6:1, 6:8, 6:1); ქვევით — ვაჟთა წყვილებში გამარჯვებული ფრანგები პ. ბიოსტი და დ. კონტე ა. მეტრეველთან და ს. ლიხაჩოვთან ფინალური შეხვედრის დროს.

ჩოგბურთი სპორტი

◆ სკვლეუტეო (შვეცია), 28 თებერვალი. აქ გამართულ შეჯიბრებაში 20 წლის შვედმა მხტუნელმა ბ. იონსონმა 213 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა დაძლია. წლეულა ევროპაში იონსონზე კარგი შედეგები მხოლოდ საბჭოთა მძლეოსნებმა ვ. გავრილოვმა და ვ. სკვორცოვმა მოიპოვეს. იონსონი ბარტში მადრიდს იასპარეზებს ევროპის მძლეოსანთა ზამთრის თამაშებში.

◆ ტენსბერგი, 28 თებერვალი. ნორვეგიის ამ ქალაქის საციგურაოზე გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა ყინულის ბილიკების ყველა ცნობილი ოსტატი. ადგილობრივი საციგურაოს რეკორდი დაამყარა ამერიკელმა ნ. ბლეჭფორდმა, რომელმაც 5სმ მეტრი 40,4 წამში გაირბინა. ძან წამზე მეტით აჯობა მასპინძლებს — ი. ერიკსენს, ი. ლინდსა და ო. გრენვოლდს, რომლებმაც ერთნაირი შედეგი (41,5) აჩვენეს. 3000 მეტრი ყველაზე სწრაფად დაფარა ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ფ. ა. მაიერმა (ნორვეგია) — 4.32,3.

კიდევ ერთი ყაიმი

ლოს-ანჯელოსი, 28 თებერვალი. სამი დიდოსტატის მატჩ-ტურნირში კიდევ ერთი პარტია დამთავრდა ყაიმით: 42-ე სვლაზე დაზავდნენ ვ. ჰორტი და ს. რეშევსკი. ჰორტმა (თეთრებით) დიდი ჯაფა დაბარჯა, რათა შეექმნილ მწვავე ბრძოლაში უპირატესობისთვის მიეღწია. მაგრამ ენდშპილში პოზიცია გამარტივდა და ჩეხოსლოვაკიელი მოჭადრაკის ყოველი ცდა ამაო გამოდგა.

მატჩ-ტურნირს კვლავ ლიდერობს შტეინი.

	გვარი, ქვეყანა	1			2			3			ქულა	ადგილი
1	ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია)				½	0	½	½	½	½		
2	ლ. შტეინი (სსრ კავშირი)	½	1	½				½	½	½		
3	ს. რეშევსკი (აშშ)	½	½	½	½	½	½					

რესპუბლიკის თოვლიან ბილიკებზე

ბათუმი

ქედლების მიდამოებში სამ დღეს გაგრძელდა „კოლმეურნის“ აბარის საოლქო საბჭოს პირველობა. სტარტზე გამოვიდნენ ჭიობულეთის, ბათუმის, ქედის, შუახევისა და ხულოს მოთხილამურენი. ჩემპიონობა მოიპოვეს: ქალთა შორის 3 კილომეტრზე რბენაში — ე. ჯიმშერაძემ, 5 კილომეტრზე რბენაში — ჟ. ჯიმშერაძემ (ორივე — ხულო). ხულოელთა გამარჯვებით დამთავრდა ესტაფეტა 3×5 კილომეტრზე.

5 კილომეტრზე ვაჟთა შეჯიბრება მოიგო გ. ჯორბენაძემ (ხულო), ხოლო 10 კილომეტრზე რბენის ფინიშთან პირველი მივიდა შუახეველი გ. ფუტკარაძე. ვაჟები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ესტაფეტაშიც (3×10 კმ). აქ ყველას ხულოელთა ტრიომ აჯობა.

რა თქმა უნდა, საერთო გუნდური პირველობაც ამ რაიონის მოთხილამურეებს ხვდათ.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი

ორ დღეს გრძელდებოდა ქალაქის პირველობა თხილამურებით რბენაში. გოგონები 3 და 5 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. გაიმარჯვეს მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა თ. შავლოხოვამ და ე. ბაგაევამ. ბიჭებში 5 კილომეტრზე რბენა მოიგო ამავე სკოლის წარმომადგენელმა ვ. ბეტკევმა. 10 კილომეტრზე რბოლაში პირველობა წილად ხვდა მათივე თანაგუნდელ რ. ვალიევს.

გუნდურ ჩათვლაშიც მე-3 სკოლის სპორტსმენებმა ასახელეს თავი.

ვ. ველკოვი.
(ჩვენი კორ.).
ნ. კიკნაძე.

ბაკურიანი

სტუდენტთა არდადეგების დღეებში ბაკურიანში ჩატარდა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტ მოთხილამურეთა პირადი პირველობა. შეჯიბრებაში 30 სტუდენტი მონაწილეობდა. ქალები 5 კმ-ზე რბენაში ასპარეზობდნენ, გაეები — 10 კილომეტრზე. ჩემპიონები გახდნენ: ფილოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი თინა ნაკანი (21.06,0) და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ტ. გერლიანი—40.05,2.

შემდეგ მოეწყო სათხილამურო ლაშქრობა მარშრუტით: ბაკურიანი — მიტარბი — გუჯარეთი — ჯამღმის უღელტეხილი — აბუსალო — ქარელი — გორი.

სტუდენტებმა ორივე ღონისძიება უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავს მიუძღვნეს.

ლ. გენგაშვილი,
სპორტის ოსტატი.

ცაგერი

ცაგერის რაიონის მოთხილამურეთა ტურნირში 128 სპორტსმენი მონაწილეობდა. ისინი ორ ასაკობრივ ჯგუფად დაიყვნენ.

3 კილომეტრზე მორბენალ ბიჭებში რაიონის ჩემპიონობა მოიპოვა კ. ხეცურიანმა (ღვირიში), 5 კილომეტრზე შეჯიბრება კი მისმა თანასოფლელმა მ. ჩხეტიანმა მოიგო.

გოგონებიდან 2 კილომეტრზე რბოლის ფინიშთან პირველი ღვირიშელი ც. ყურაშვილი მივიდა, ხოლო 3 კილომეტრზე უძლიერესი იყო ცხუკუშერელი ნ. სვანიძე.

სწრაფდაშვებაში ბიჭებიდან ყველაზე კარგი შედეგი აჩვენეს ცაგერელმა მ. ხვადაგიანმა (უმცროსი ასაკი) და მისმა თანაგუნდელმა ო. ბაკურაძემ. გოგონებში ტოლი არ ჰყავდათ თ. გოლოძეს და მ. ხეცურიანს (ორივე — ღვირიში).

ტურნირის მეორე დღეს ბიჭები 5 (უმცროსი ასაკი) და 10 კილომეტრზე გამოდიოდნენ, გოგონები — 5 კილომეტრზე. გაიმარჯვეს კ. ხეცურიანმა, ნ. ფრუიძემ და ნ. სვანიძემ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში უმცროსი ასაკის ჯგუფში ყველას ცხუკუშერელებმა აჯობეს, უმცროსი ასაკის ჯგუფში კი — ღვირიშელმა მოთხილამურეებმა.

გ. ხვადაგიანი,
ცაგერის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

ქალის XIII...

დამთავრდა თბილისის ქალთა XIII ტრადიციული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც 13 სახეობა იყო. გაგაცნობთ ბოლო შეჯიბრებების შედეგებს.

ჩოგბურთი

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის“, „დინამოს“, განათლების განყოფილების, „განთიადისა“ და „ლოკომოტივის“ გუნდები. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. პირველ წრეში „ბურევესტნიკის“ სპორტსმენები არ გამოდიოდნენ. „განთიადისა“ და „ლოკომოტივის“, „დინამოსა“ და განათლების განყოფილების ჩოგბურთელთა შეხვედრებში ერთხმიანი ანგარიშით (3:1) გაიმარჯვეს პირველად დასახელებულმა გუნდებმა.

მომდევნო წრეში „ბურევესტნიკი“ შეხვდა „განთიადს“ და „მზრალი“ ანგარიშით (4:0) მოუგო. ფინალში მისი მეტოქე „დინამოს“ ძლიერი კოლექტივი იყო. დინამოელმა რ. აბჟანდაძემ ორი პარტია მოუგო ი. ერმოლოვას (6:2, 6:2) და დაუწინაურა თავისი გუნდი, მაგრამ ეს იყო „დინამოს“ ერთადერთი წარმატება. სხვა შეხვედრები სტუდენტთა უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ ანგარიშში გახდა 3:1 „ბურევესტნიკის“ სასარგებლოდ.

დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: 3. განათლების განყოფილება, 4. „განთიადი“, 5. „ლოკომოტივი“.

ჭადრაკი

„ნონას გუნდი“ პირველობას რომ არავის დაუთმობდა, ეს ტურნირამდეც ნათელი იყო. მართალია, ჩემპიონის სახელი „ბურევესტნიკმა“ დაისაკუთრა, გუნდის წევრებმა თავიანთ დაფებზე I ადგილებიც დაიკავეს: ნ. გაფრინდაშვილმა 5,5 ქულით (6-დან), ც. კახაბრიშვილმა და ნ. ჩიქობავამ — 5-5 ქულით.

დიდი ბრძოლა გაჩაღდა II ადგილისთვის, რომელიც პრეტენზიას ძირითადად „სპარტაკისა“ და განათლების განყოფილების გუნდები აცხადებდნენ. „სპარტაკის“ შესხებმა საგრძნობლად ისაჭა, როცა მან სტარტზე დიდი ანგარიშით (3:0) მოუგო მეტოქეს. შემდგომ ნორჩმა მოჭადრაკეებმა „დაამშვიდა“ სპარტაკელები: მათ ზედიზედ დაამარცხეს „ლოკომოტივი“ (3:0), „განთიადი“ (2:1), „დინამო“ (3:0) და ლიდერებს ჩაუდგნენ კვალში. მაგრამ გოგ.კებმა (ნ. ხუბულური, ნ. ბოლაშვილი, თ. კაჭარავა) საბოლოოდ 11 ქულა მოაგროვეს, „სპარტაკმა“ (ე. კაკაბაძე, ქ. გოგიაა, ნ. ნაჭყებია) კი — 11,5.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა განათლების განყოფილების გუნდმა, განსაკუთრებით კი მისმა ლიდერმა ნ. ხუბულურმა. ნ. გაფრინდაშვილთან ჯაჭოს შემდეგ ნანომ მოუგო სსრ კანმრის ქალთა ორი ჩემპიონატის მონაწილე ს. ივანოვას („დინამო“) და მხოლოდ ერთი პარტია წააგო (ე. კაკაბაძესთან). ხუბულურმა 4,5 ქულით II ადგილი დაიკავა პირველ დაფაზე.

შემდეგ მოდიან: IV. „ლოკომოტივი“ — 8,5 ქულა, V. „დინამო“ — 8, VI. „განთიადი“ — 6,5, VII. „შრომითი რეზერვები“ — 2 ქულა.

მხატვრული ტანვარჯიში

მსატვრულ ტანვარჯიშში მხოლოდ „ბურევესტნიკის“ გუნდი გამოვიდა. ეს უკვლად არანორმალური ფაქტია და ერთხელ კიდევ აშკარად მეტყველებს სპორტის ამ წარმტაცი სახეობის შეუღებელყოფას სხვა საზოგადოებებში.

პირად ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა უნივერსიტეტელი ნ. სალაძე. II ადგილზეა მ. ჩიხლაძე (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), III — ნ. სკრობუნოვა (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

მაგიდის ჩოგბურთი

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის“, განათლების განყოფილების, „სპარტაკის“, „შრომითი რეზერვების“, „განთიადის“, „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ გუნდები.

„ბურევესტნიკისა“ და განათლების განყოფილების მაგიდის ჩოგბურთელებმა ყველა მეტოქე ერთნაირი ანგარიშით (2:0) დაამარცხეს. სპარტაკიადის ჩემპიონობის ბედი სწორედ ამ ორი გუნდის შეხვედრას უნდა გადაწყვეტა. გოიმარჯვეს ბურევესტნიკელებმა — 2:1.

III ადგილზე გავიდნენ სპარტაკელები.

ფარიკაობა

ბრძოლაში 28 ქალი ჩაება, საბრძნო სამეულში კი მხოლოდ „ბურევესტნიკის“ მოფარიკავენი მოხვდნენ. ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა რ. კვკვლიამ. II ადგილზეა ლ. კაკრიძე, III — ნ. ჩაფვაშვილი.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: I. „ბურევესტნიკი“, II. „სპარტაკი“, III. „დინამო“, IV. განათლების განყოფილება.

ვოლეიბოლი

საბოლოოდ, XIII სპარტაკიადის გუნდური პირველობა მოიგეს „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებმა — 84 ქულა. II ადგილზე გავიდნენ განათლების განყოფილების წარმომადგენლები — 60, III — განთიადელები — 56 ქულა.

დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: IV. „დინამო“ — 35, V. „შრომითი რეზერვები“ — 35 (დინამოელებს მეტი საბრძნო ადგილის გამო მიენიჭათ უპირატესობა), VI. „სპარტაკი“ — 27, VII. „ლოკომოტივი“ — 18.

„ლელოს“ ბრიგადა.

კირველი სკოლჭო...

ბათუმი (ჩვენი კორ.). აქ დაშთაერთა „განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს ქალთა I სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც 5 სახეობა იყო. ფრენბურთში პირველობა სამკურნალო ფაბრიკის სპორტსმენებმა მოიპოვეს. მაგიდის ჩოგბურთსა და ბადმინტონში გაიმარჯვეს ხის დამამუშავებელი კომბინატის სპორტსმენებმა, ძლეულსანთა ტურნირში ყველას აჯობეს მანქანათსაშენი ქარხნის წარმომადგენლებმა, ცურვაში — ელექტროელსაწყობების ქარხნის სპორტსმენებმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ხის დამამუშავებელი კომბინატის ნაკრები. II ადგილზე გავიდნენ მანქანათმშენებლები, III — სამკერვალო ფაბრიკის სპორტსმენები.

საოლქო საბჭოს ნაკრები მონაწილეობას მიიღებს აჭარის ქალთა I სპარტაკიადაში, რომელიც მალე დაიწყება.

ამაგდარი მწვრთნელი

ვინც საქართველოში ძალოსნური შეჯიბრებებს დასწრებია, უთუოდ შეამჩნევდა ხმელ-ხმელ, თმაშეველცხლილ, თავისი ასაკისთვის გასაოცარი სიმკვირცხლით გამორჩეულ კაცს. ეს კაცი პავლე გუშაიანია.

პავლემ ახალგაზრდობაშივე გამოიჩინა თავი დიდ სპორტში, 1936 წლის საკავშირო ჩემპიონატში კი II ადგილი დაიკავა ქვემსუბუქი წონის ძალოსნთა შორის. ორი წლის შემდეგ მან „დინამოს“ და წითელი არმიის საკავშირო სპარტაკიადაში დაისაკუთრა ჩემპიონობა. 1940 წელს გუშაიანი „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონია.

ამ წლებში ოცი ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმესაც ემსახურებოდა, ხოლო 1945 წლიდან მთლიანად მწვრთნელობას მიჰყო ხელი. მისი აღზრდილებიდან უნდა დავასახელოთ მსოფლიოს სხვადასხვა წლის ჩემპიონები და რეკორდსმენები რ. ჩიმიშკიანი, ხ. ხანუკაშვილი, ვ. სვეტლოვი და ბევრი სხვა.

1952 წელს გუშაიანს სპორტის დამსახურებული ოსტატის მაღალი წოდება მიენიჭა. შარშან იგი საკავშირო კატეგორიის მსაჯი გახდა. სულ ახლახან სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს ბიუროს დადგენილებით გუშაიანს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების საქმეში დიდი დამსახურებისთვის.

ჩვენი ფუტბოლის პერსპექტივა

„ლელოში“ დაიბეჭდა „ღია წერილი საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ. თ. ლაშქარაშვილს“. დღეს გვეშვიდავთ განათლების მინისტრის სპასუხო წერილს, რომელიც რედაქციამ მიიღო.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციას

თქვენი გაზეთის 1968 წლის 24 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში — „ღია წერილი საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ. თ. ლაშქარაშვილს“ აღნიშნულია, რომ ბავშვთა სპორტულ სკოლებში მხატვრულ ტანვარჯიშს წლების მანძილზე არ ექცევა სათანადო ყურადღება, ჩვენს რესპუბლიკაში შეუწყნარებლად მცირეა ბავშვთა ჯგუფები ამ სახეობაში და რომ საკავშირო ასპარეზზე წარუმატებლობის მთავარი მიზეზი მხატვრული ტანვარჯიშის ნაკლები მასობრიობაა, რაშიც ბრალი განათლების სამინისტროსაც მიუძღვის.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მეორე საკავშირო კონკურსის შემდეგ სპორტის ამ სახეობაში 2-3 ჯგუფი არსებობდა და ისიც მხოლოდ თბილისში. 1964 წლიდან დღევანდლამდე რესპუბლიკაში მხატვრული ტანვარჯიშის 25 ჯგუფი შეიქმნა მხოლოდ განათლების სამინისტროს ბავშვთა სპორტულ სკოლებში. გარდა ამისა, სპორტის ამ სახეობაში ჯგუფები არსებობს სხვა უწყებების ბაზითაც.

მიუხედავად ამისა, მხატვრული ტანვარჯიშის ჯგუფების რაოდენობა არ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს და მათი რიცხვი შემდგომაც უნდა გაიზარდოს.

მაგრამ წარმატების მიღწევა მარტო ჯგუფების რაოდენობის ზრდით არ შეიძლება, თუ მნიშვნელოვნად არ ამაღლდა სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ხარისხი, რისთვისაც სპორტულ სკოლებს ქმედითი დახმარება უნდა გაუწიოს რესპუბლიკის მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციამ, რათა ამ საქმეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ჩაუდგნენ სათავეში.

მოსწავლეთა შორის მხატვრული ტანვარჯიშის შემდგომი განვითარების მიზნით განათლების სამინისტრო ატარებს რიგ ღონისძიებებს. მაგალითად, გათვალისწინებულია რესპუბლიკის რიგ სპორტულ სკოლებთან გაიზარდოს ჯგუფების რაოდენობა ამ სახეობაში, მიღებულია ზომები თბილისის ცენტრალურ ტანვარჯიშულ ბავშვთა სპორტულ სკოლაში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სპორტულ სკოლასა და სხვა სპორტულ სკოლებში მხატვრულ ტანვარჯიშში სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის არსებითად გაუმჯობესებისთვის.

ჯ. თბილისის განათლების განყოფილება განათლების სამინისტროს დავალებით ამზადებს საკითხს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბაზების რაციონალურად გამოყენების თაობაზე იმ მიზნით, რომ მხატვრულ ტანვარჯიშში ჯგუფების სამეცადინოდ შესაფერისი დარბაზები გამოიყოს.

მხატვრული ტანვარჯიში შეტანილია რესპუბლიკის მოსწავლეთა 1968 წლის სპარტაკიადის პროგრამაში.

განათლების სამინისტროს სპორტულ ღონისძიებათა კალენდრით გათვალისწინებულია მარტის არდადეგების პერიოდში ჩატარდეს მოსწავლეთა ბირად-გუნდური შეჯიბრებები, სამატჩო შეხვედრები ჭ. მოსკოვისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ნაკრებ გუნდებთან, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებული სემინარების მოწყობა და სხვ.

თ. ლაშქარაშვილი,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.



ცხაკაია

აჭარის ჩემპიონმა, ოსტატობის კანდიდატმა გ. ჭანტურიამ და რესპუბლიკური კატეგორის მსაჯმა ს. გუგუნავამ ჭადრაკში საინტერესო ლექციის შემდეგ ერთდროული თამაშის სეანსი გამართეს 29 დაფაზე. სტუმრებმა 25 პარტია მოიგეს, 2 (სტუდენტ რ. სიორდიასა და ხალიჩების კომბინატის ფიზკულტურის მეთოდისტ ა. ცაგურიასთან) წააგეს და ამდენივე ყაიმით დაამთავრეს.

ე. გუგუნავა.

რჩევა გული გულობს

ზესტაფონის რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლაში ჭადრაკს ბევრი მომხრე ჰყავს. ხშირად ეწყობა ტურნირები, მატჩები, საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების განხილვა.

დიდი ინტერესი გამოიწვია მასწავლებელთა პირველობამ. ჩემპიონობა მესამედ შეინარჩუნა სასწავლო ნაწილის გამგემ დ. შშვენიერაძემ. II ადგილი დაიკავა მათემატიკის მასწავლებელმა შ. ცაგარეიშვილმა, III — ფიზიკის მასწავლებელმა დ. ლაბაძემ.

სკოლაში ხშირად ტარდება მოსწავლეთა შეჯიბრებები. დიდ ინტერესს იწვევს ურთიერთული თამაშის სეანსები.

სკოლის საჭადრაკო საქმიანობაში ალბათ მეტ სიცოცხლეს შეიტანდა ცნობილი ოსტატების სტუმრობა, მათთან შეხვედრები. კარგი იქნება, რესპუბლიკურმა საჭადრაკო კლუბმა იზრუნოს ამაზე და რაიონებში ხშირად მიიწვიოს მოწინავე თბილისელი მოჭადრაკეები.

ა. განუგრავა.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

ტრაგიცია გრძელდება

გორის ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელს დიდი ხანის მეგობრობა აკავშირებთ. ყოველ წელს რეგულარულად ეწყობა ამ უმაღლესი სასწავლებლების სპორტსმენთა მეგობრული შეხვედრები ხან გორში, ხან კი მოსკოვში. წელს რიგი გორელებისა იყო და მოსკოველი სტუდენტები ხალისით ეწვივნენ სტუმართმოყვარე მასპინძლებს.

ტანმოვარჯიშე ვაჟთა ასპარეზობაში გორელებმა იმარჯვეს. პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა სპორტის ოსტატ ზ. შიუკაშვილს. სამაგიეროდ, ქალთა შორის უმაღლესი მოსკოველები აღმოჩნდნენ. განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად მოსკოველ სპორტის ოსტატ ტ. ტუსნოვას.

სამბისტთა შეხვედრებში ქართველი ფალავნების უპირატესობა აშკარა იყო. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 9:2. საინტერესოდ ჩატარდა ფრენბურთელთა და კალათბურთელთა პაექრობა. ფრენბურთელ ქალთა შეხვედრის პირველ სამ პარტიაში ორი გორელების გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ შემდეგ სტუმრებმა იმარჯვეს და საბოლოო ჯამში გამარჯვება მათ დარჩათ. ამ გუნდების განმეორებით შეხვედრაში წარმატება კვლავ სტუმრებს ხვდათ.

კალათბურთელ ვაჟთა შეჯიბრება ერთხანს თანაბარი ბრძოლით აღინიშნა. მაგრამ შეორე ტაიმში აშკარა გახდა მოსკოველთა უპირატესობა, რომელმაც გაიმარჯვეს კიდეც — 78:62.

მოჭადრაკეთა ტურნირში უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გორი.

რაც შეიძლება ხშირად

საშური

მომდინარეობს მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადა, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნება. სპარტაკიადის პროგრამაში 8 სახეობაა. ხელბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში შეჯიბრებები უკვე დამთავრდა. ხელბურთში პირველობა მოიპოვეს ხაშურის რკინიგზის მე-3 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა, მაგიდის ჩოგბურთში — სურამის მე-2 საშუალო სკოლის სპორტსმენებმა.

ზ. მოსეშვილი.

ცხაკაია

აჭარის ჩემპიონმა, ოსტატობის კანდიდატმა გ. ჭანტურიამ და რესპუბლიკური კატეგორის მსაჯმა ს. გუგუნავამ ჭადრაკში საინტერესო ლექციის შემდეგ ერთდროული თამაშის სეანსი გამართეს 29 დაფაზე. სტუმრებმა 25 პარტია მოიგეს, 2 (სტუდენტ რ. სიორდიასა და ხალიჩების კომბინატის ფიზკულტურის მეთოდისტ ა. ცაგურიასთან) წააგეს და ამდენივე ყაიმით დაამთავრეს.

ე. გუგუნავა.

ცხაკაიის 1-ლი საშუალო სკოლის ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. აქ ფიზკულტურის მასწავლებლად 18 წელია მუშაობს კ. ჯოჯუა. სწორედ მისი დაუღალავი შრომის შედეგია, რომ ამ სკოლის ბევრი მოსწავლე ეზიარა დიდ სპორტს. ახლახან სკოლამ მიიღო სპორტული დარბაზი, სადაც ნორჩი მოჭადრაკეებიც ვარჯიშობენ. ამ სურათზე სწორედ მათი მორიგი საწვრთნელი მეცადინეობის მომენტია აღბეჭდილი. ვარჯიშს ხელმძღვანელობს კ. ჯოჯუა.

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

თავის მართლება გამოსავალი როდია

თბილისში ახლახან დამთავრდა სამბისტთა რესპუბლიკური გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც 11 კოლექტივი მონაწილეობდა. შეჯიბრებამ ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი ათლეტი გამოავლინა, მაგრამ ჩვენ ამ წერილში მათ ჩამოთვლას არ შევუდგებით, ვინაიდან ამჯერად სხვა რამ გვაინტერესებს, კერძოდ, საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები და მათი პოტენციური შესაძლებლობანი.

I ადგილი გორის ნაკრებმა დაიკავა. შედეგი სავსებით კანონზომიერია: გორელთა ენერგიულმა და საქმიანმა მწვრთნელმა ზ. პაპიტაშვილმა ბოლო ხანს შექმნა ძლიერი ახალგაზრდული კოლექტივი, რომლის წევრებს არ აკლიათ არც ოსტატობა, არც მონდომება და არც საკუთარი ძალის რწმენა.

საგანგებო ქებას იმსახურებს II პრიზიორიც — კასპის გუნდი. ჩვენ უკვე შევეგუეთ იმას, რომ კასპის რაიონში უყვართ ჭიდაობა, ყოველმხრივ ხელს უწყობენ ახალგაზრდებს და ტურნირებში სასურველ შედეგებსაც აღწევენ. სწორედ ამიტომ, რაიონმა გამოცდილი მწვრთნელის, წარსულში ცნობილი სამბისტის ლ. კაციაშვილის ხელმძღვანელობით ბევრი უმაღლესი კლასის სამბისტი აღუზარდა რესპუბლიკას.

ამასთან დაკავშირებით ერთ მეტად საინტერესო ფაქტს მოგახსენებთ: ამ ჩემპიონატში კატიონალის აღზრდილები არა მარტო მშობლიური რაიონის ღირსებას იცავდნენ, არამედ წარმატებით ჭიდაობდნენ გორისა და თბილისის გუნდებშიც. ტურნირის ერთ-ერთი მოწინააღმდეგის მოსწრებული თქმით, „ეს იყო საქართველოს გუნდური პირველობა ლავრენტი კატიაშვილის მოსწავლეთა შორის“. ხუმრობა ჭეშმარიტებასთან ახლოსაა და იგი ცხადყოფს, თუ რას ნიშნავს მწვრთნელის მონდომება და საქმისადმი მუყაითი, ერთგული დამოკიდებულება, რაც სამწუხაროდ ბევრ ჩვენს მწვრთნელს არ გააჩნია.

III საპრიზო ადგილზე გავიდა თბილისის გუნდი, რომელიც პოტენციურად უფრო მაღალ ადგილს იმსახურებს. მაშ რა მოხდა? ხომ არ გახდა ფავორიტი მსაჯთა შეცდომის, ან სხვა რაიმე უზუსტობის მსხვერპლი? ჩვენი დედაქალაქის სამბისტთა ჭოგაგების მჭკიცებით, ჩემპიონატი თბილისელებისთვის მეტად არახელსაყრელ პერიოდში ჩატარდა. ისინი ამბობენ, თბილისის უძლიერესი სამბისტები ამ დროს სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების საკავშირო პირველობებში გამოდიოდნენ და, ბუნებრივია, რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილეობის საშუალება არ ჰქონდათო.

მიზეზი თითქოს დამაჯერებელია, მაგრამ მხოლოდ მათთვის, ვინც საქმეში ბოლომდე არაა ჩახედული. ნუთუ თბილისს უძლიერეს სამბისტთა გარეშე არ უნდა შეეძლოს რესპუბლიკურ ჩემპიონატში გამარჯვება? საქართველოს პოზონავე ათლეტთა 80 პროცენტი ხომ სწორედ თბილისშია თავმოყრილი?! ის ფაქტი, რომ ქალაქის სამბოს მეცნიერებმა ძლიერი რეპრეზენტაციანი გუნდი ვერ შეადგინეს, სხვა, უფრო სერიოზულ ხარვეზებზე მიუთითებს და მათზე საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ.

თბილისში სამბოს რამდენიმე ათეული კვალიფიკაციური მწვრთნელი მუშაობს. ხაინტერესოა, სად არიან მათი აღზრდილები? რატომ ვერ მოიძებნა 8 ისეთი ღირსეული სამბისტი, თავისი ქალაქის სახელს რომ დაიცავდნენ? ნუთუ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მწვრთნელთა მთელი „ნამოღვაწარი“ ის რამდენიმე სამბისტია, ვინც, ამ დროს საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობდა? თუ ასეა, მწვრთნელებს პირდაპირ უნდა ვუთხრათ, რომ ცუდად უმუშაიათ და ტყუილუბრალოდ იმართლებენ თავს.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული: თბილისის გუნდის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ისაა, რომ მწვრთნელებმა ჩემპიონატის წინ საერთო ენა ვერ გამონახეს და გუნდის დაკომპლექტებას ვიწრო საუწყებო ინტერესებით მიუდგნენ. სწორედ ამიტომ, ბევრი უძლიერესი სამბისტი ნაკრების მიღმა დარჩა, მათი ადგილი კი სახელდახელოდ შეკრებილმა, შედარებით სუსტმა მოჭიდაგეებმა დაიკავეს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ერთიანი გუნდის შედგენისას საჭიროა კოლეგიალობა და უაღრესი ობიექტურობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვივა ის, რაც ჩემპიონატის მთავარ ფავორიტს — თბილისის ნაკრებს მოუვიდა (სრული გუნდიც კი ვერ გამოიყვანა).

როგორც ვთქვით, სერიოზული შეცდომა იქნა დაშვებული გუნდის დაკომპლექტებისას. განა ქვემძიმე წონაში ჭურთაევის ნაცვლად უმჯობესი არ იქნებოდა ზურაბაულის გამოყენება? მაგრამ, როგორც გამოირკვა, ზურაბაულმა თბილისის გუნდის ღირსების დაცვა არ იკადრა და ამით საგრძნობლად დაასუსტა თავისი კოლექტივი. გუნდის მესვეურებმა თავის მართლების ნაცვლად სწორედ ამას უნდა მიაქციონ ყურადღება.

ჩემპიონატის მსვლელობაში სხვა ნაკლსაც იჩენს თავი, მაგრამ ჩვენ შეგნებულად ავარიდეთ მას თვალი. ასე, რა თქმა უნდა, შეიძლება არ მოვიქცეთ. ამითომ გუნდების ხელმძღვანელებმა დროულად და სწორად უნდა გაარკვიონ ამა თუ იმ სპორტსმენის ტერიტორიული ადგილსამყოფელი, რომ „თბილისელი ჭაიხოსროშვილისა“ და „კასპელი გუთნიაშვილის“ ინციდენტი მომავალშიც არ გამეორდეს.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა საგარეჯოს გუნდის წევრებზე ქვლევიძესა და გულისაშვილზე, რომელთა უმსგავსო საქციელი რომ არა, ეს კოლექტივი შესაძლოა უკეთეს ადგილს დაიკავებდა. სავარჯიშოლეგმა ვაჟკაცურად, თავგამოდებით იბრძოლეს და ოფლით მოიპოვეს ფინალში მონაწილეობის უფლება. ფინალში კი ზემოდასახელებულმა „რაინდებმა“ თვითნებურად, უმიზეზოდ მიატოვეს სარბიელი. სამბოს რესპუბლიკურმა ფედერაციამ სავსებით სამართლიანად დასაჯა ისინი, მაგრამ სასჯელი განა უშველის ამ შემთხვევაში საქმეს? საინტერესოა, რით გაიმართლებენ თავს ამხანაგების წინაშე თვით სპორტსმენები?

ვ. გალავაძე,
საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

* * *

სურათზე: საქართველოს ჩემპიონი სამბოში — გორის გუნდი. სხედან (მარცხნიდან) — **ვ. ბინჩიჩაშვილი, კ. გუძიევი, ხ. ბურჭანაძე, ო. ჭიბროწაშვილი;** დგანან — მწვრთნელი **გ. პაპიტაშვილი, დ. ბესტაევი, ი. იმერლიშვილი, უ. ხორბალაძე, თ. თვაური.**

ფოტო შ. კუკულავასი.



საქართველოს პირველობა

I ტურის კალენდარი

5 მარტს იწყება საქართველოს პირველობა ფეხბურთში. მოგვყავს ამ დღის შეხვედრათა კალენდარი:

„სულორი“ (ვანი) — „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი)
„გარეჯი“ (საგარეჯო) — „სამცხე“ (ახუათი)
„ფეიქარი“ (წულუკიძე) — „სპარტაკი“ (ბორჯომი)
„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — ასკ (თბილისი)
ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი)
„სინათლე“ (თბილისი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური)
„დურუჯი“ (ყვარელი) — „ისანი“ (თბილისი)
„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „მერცხალი“ (მახარაძე).

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

თანაქალაქელები ურთიერთობას არკვევენ

თბილისი. სპორტის სასახლე. 27 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი) 75:71 (35:35).

„დინამო“: სხიერელი (14), ქორქია (5), ალთაბაევი (18), ნარიმანიძე (4), ა. ლეჟავა (2), უგრეხელიძე (28), კაზანკიანი (2), მამალაძე (2), მოსეშვილი.

„ბურევესტნიკი“: გლურჯიძე (12), ჯულელი (10), კოვალენკო (15), ი. ლეჟავა (14), ჩხეიძე (14), ბიჭვიაშვილი (6), შანავაძე, მხეიძე.

მსაჯები: ვ. არუთინიანი და გ. ბაღდასარიანი (ორივე — ერევანი).

ამ მატჩით თანაქალაქელებმა დაიწყეს საკავშირო ჩემპიონატის III წრე. მართალია, „დინამოსა“ და „ბურევესტნიკს“ სატურნირო ცხრილში ერთნაირი მდგომარეობა არა აქვთ, მაგრამ სხვაობაც მათ შორის სულ რაღაც 5 ქულაა. ეს თითქმის არაფერია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ „დინამო“ ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია, „ბურევესტნიკი“ კი X ადგილზეა.

ბრძოლა ძველ მეტოქეებს შორის ამჯერადაც უაღრესად პრინციპული, მწვავე და კორექტული იყო. შეცდომებს, მეტწილად უმნიშვნელოს, ზოგჯერ კი უხეშს, ორივე მხარე უშვებდა. მაგრამ ეს შეცდომები, როგორც წესი, ფსიქოლოგიური ხასიათისა გახლდათ. მაღალი სატურნირო მდგომარეობა დინამოელებს გამარჯვებას ავალდებულებდა. გამარჯვება „ბურევესტნიკსაც“ სწყუროდა, ვინაიდან ყოველი მოგებული მატჩი, ყოველი ქულა მას დაწინაურებულთა იმ ჯგუფს აახლოებს, სადაც ეს გუნდი განონიერად უნდა იყოს. ერთი სიტყვით, მეტოქეებმა ძნელ და პატიოსან ბრძოლაში გაარკვიეს სატურნირო ურთიერთობა.

პირველმა ნახევარმა ვერ გასცა პასუხი მთავარ შეკითხვას: ვის დარჩებოდა გამარჯვება. დასაწყისში ერთგვარი უპირატესობა დინამოელთა მხარეს იყო, შემდეგ ინიციატივა „ბურევესტნიკმა“ იგდო ხელთ, ტაიმის მიწურულს კი მდგომარეობა გათანაბრდა. მაგრამ პირველი 20 წუთის შემდეგ „ბურევესტნიკმა“ ბრძოლის ველი მაინც დიდი დაკარგვით დატოვა. მთავარი კი ის იყო, რომ მსაჯებმა მოედნიდან სავსებით სამართლიანად გააძევეს მანაგაძე და გუნდის რეზერვს ერთი სრულფასოვანი წევრი დააკლდა. ამას გარდა, 5 პერსონალური ჯარიმის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა „ბურევესტნიკის“ მთავარი დირიჟორი გლურჯიძე, რომელმაც ამ დღეს ბრწყინვალედ ითამაშა.

დინამოელებს კი სულ ჰქონდათ რეზერვით მანევრირების საშუალება. ამასთან, შესამჩნევად ათამაშდა უგრეხელიძე, რომლის ზუსტი, სხაპასრული ტყორცნის უვნებელყოფა ბოლოსდაბოლოს შეუძლებელი გახდა. ყოველივე ამან ნელ-ნელა და მეთოდურად შეამზადა ნიადაგი გარდატეხისთვის, რომელიც მხოლოდ 38-ე წუთზე დადგა.

მანამდე კი... ინიციატივას მაინც „ბურევესტნიკი“ ფლობდა და დაწინაურებულიც გახლდათ. დინამოელებს მეტოქეებზე დიდხანს გაჰყვათ ხერხული შოკი და ამას, შესაძლოა, სავალალო შედეგიც მოჰყოლოდა.

* * *

გუშინ გაიმართა ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა. გამარჯვება ამჯერად „ბურევესტნიკს“ ხვდა — 78:69.

ნ. გუგუშვილი.

73 : 65

რიგა, 28 თებერვალი. ადგილობრივ არმიელთაგან ნოკაუტირებული ცსკა გუშინ ამ ვეფ-ს შეხვდა. ლატვიელი გულშემატკივრები თანამემამულეთა წარმატებაში ღრმად იყვნენ დარწმუნებული, მით უმეტეს, რომ პირველ ნახევარში და შესვენების შემდეგაც ვეფ-ის უპირატესობა თითქოს აშკარა იყო. მაგრამ მასპინძლები სწორედ იმან დალუპა, რომ გამარჯვება უკვე განაღდებული ეგონათ.

ცსკა-მ მატჩის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე ძალა მოიკრიბა, ხელთ იგდო ინიციატივა და ანგარიში გაათანაბრა. და როცა დაბნეულმა მასპინძლებმა აღარ იცოდნენ რა ექნათ, სტუმრებმა ბრძოლა გამარჯვებით დაამთავრეს — 73:65.

ეს იყო ვეფ-ისთვის ჭკუის სასწავლებელი მარცხი და მეტად საჭირო ქულა არმიელთათვის.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	24	17	7	1741—1622	17
„დინამო“ (თბილისი)	24	16	8	1787—1654	16
ასკ კიევი	24	16	8	1696—1572	16
ცსკა	25	15	10	1579—1529	15
„სტროიტელი“ (კიევი)	24	14	10	1600—1569	14
„ქალევი“ (ტარტუ)	24	13	11	1585—1541	13
ვეფ (რიგა)	25	13	12	1810—1765	13
„შალბირისი“ (კაუნასი)	24	12	12	1702—1689	12
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	24	11	13	1558—1526	11
ასკ (რიგა)	24	11	13	1738—1736	11
„ბურევესტნიკი“ (ბაკო)	26	4	22	1895—2211	4
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	22	3	19	1493—1730	3

ვოჭიდავეთა შეჯიბრებით დაიწყო

საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობის I რესპუბლიკური თამაშები. გორის საჭიდაო დარბაზში სამ დღეს გაგრძელდა ასპარეზობა. ჩემპიონობისთვის 22 რაიონის 143 წარმომადგენელი იბრძოდა. შეჯიბრებამ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოავლინა. ქების ღირსია, მაგალითად, მცხეთის „კოლმეურნის“ გუნდის წევრი მ. ჩხაიძე, რომელმაც ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელმა ტ. მარგიევმა, მესტიელმა ე. ჭკადუამ, ლაგოდეხელმა ნ. ექვთიმიშვილმა და სხვ.

გუნდური I ადგილი და სოფლის ახალგაზრდობის რესპუბლიკური თამაშების ჩემპიონობა მოიპოვა ახარის „კოლმეურნის“ გუნდმა (24 საჯარიმო ქულა). II საპრიზო ადგილზე გავიდა ლაგოდეხის (49), III — აფხაზეთის ნაკრები (51).

მოგვყავს პრიზიორთა სამეულები წონათა კატეგორიების მიხედვით:

უმძიმესი წონა. 1. მ. ჩხაიძე (მცხეთა), 2. ნ. ღვინჯილია (აფხაზეთი), 3. ი. ასლანიდი (ახარა)

მძიმე. 1. მ. მუზაშვილი (მცხეთა), 2. დ. ბესტაევი (გორი), 3. ბ. მჟავანაძე (ახარა).

ქვემსუბუქი. 1. ტ. გაგუა (ახარა), 2. მ. ხაბალაშვილი (ძახარაძე), 3. ზ. ბერუჩევი (ონი).

მსუბუქი. 1. ქ. მარიდაშვილი (საგარეჯო), 2. მ. კილაძე (ახარა), 3. ი. უაჩმაზოვი (ლაგოდეხი).

ქვესაუმაღლო. 1. ი. ქველიაძე (საგარეჯო), 2. ტ. მარგიევი (სამხრეთ ოსეთი). 3. დ. ზოიძე (ახარა).

საშუალო. 1. ა. ბეჟანიძე (ახარა), 2. ვ. ჭელიძე (აფხაზეთი), 3. ე. ჭკადუა (ბესტა).

ქვემძიმე. 1. ნ. ექვთიმიშვილი (ლაგოდეხი), 2. ო. მემანიშვილი (ზესტაფონი), 3. ჯ. ნინოშვილი (საგარეჯო).

მძიმე. 1. ზ. გაბარაევი (ლაგოდეხი), 2. ვ. ჩხარტიშვილი (ლანჩხუთი), 3. გ. ზერეკიძე (გორი).

დაკომპლექტდა რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობის თავისუფალი სტილით მოჭიდაეთა ნაკრები, რომელიც ერთობლივი ვარჯიშის შემდეგ იოშკარ-ოლას გაემგზავრება სოფლის ახალგაზრდობის I საკავშირო თამაშებში მონაწილეობის მისაღებად.

შ. კულულაშვილი.

უცხეირო ფინიში

ჩელიაბინსკში დამთავრდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ვუთა საუკეთესო პირველობის ნახევარფინალი. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს დ. შნაიდერმა, ვ. არხიპოვმა (ორივე — ჩელიაბინსკი) და ვ. კუზნეცოვმა (ქალინინი).

ჩვენებმა უხეიროდ ითამაშეს: ზ. მიქაძემ 9 ქულით VI-IX ადგილები გაიყო, გ. მაჭავარიანმა — 8,5 ქულით X-XIII ადგილები, ხოლო გ. გამრეკელმა 8 ქულით XIV ადგილი დაიკავა.

ვიკეპრძოება და მსაჯი?!

საქართველოს ტანმოვარჯიშეთა პირად-გუნდურ პირველობაში, რომელიც თბილისში გაიმართა, „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, „სპარტაკისა“ და „დინამოს“ ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ.

თუბერვალში ჩემპიონატის ჩატარება, რა თქმა უნდა, ნაადრევია, მაგრამ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. საქმე ისაა, რომ სსრ კავშირის წლევანდელი პირველობა სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის ეწყობა, ამ ტურნირს კი წინ უსწრებს ბევრი სხვა შესარჩევი შეჯიბრება, რომლებშიც ჩვენებსაც სურთ მონაწილეობა.

ვაჟთა გუნდებში უძლიერესი აღმოჩნდა „ბურევესტნიკის“ ნაკრები. ქალებში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ჩემპიონებმა — „განთიადის“ წარმომადგენლებმა.



არ შეიძლება გვერდი ავუაროთ რამდენიმე მსაჯის არაკეთილსინდისიერებას, რომლებიც ზოგიერთ ტანმოვარჯიშეს შეგნებულად უმატებდნენ ქულებს.

დაძაბული იყო ბრძოლა აბსოლუტური პირველობისთვის, ვინაიდან ფინალში, სადაც ჩემპიონობის ბედი წყდებოდა, სპორტსმენებს უნდა შეესრულებინათ ნებისმიერი ვარჯიშები გაძლიერებული ზომბოვინით.

ქალებში ლიდერობდა ც. ჭკადუა, მაგრამ იგი დვრიდან ჩამოვარდა და III ადგილს დასჯერდა. აბსოლუტური ჩემპიონის სახელი პირველად მოიპოვა ლ. გათენდაშვილმა.

ვაჟებში უძლიერესის სახელს უმთავრესად ი. ნინოშვილი და შ. აზარაშვილი ეცილებოდნენ ერთმანეთს. ფინალში ნინოშვილის მონაწილეობა არ მიუღია და ამიტომ ჩემპიონობა აზარაშვილს თითქმის უბრძოლველად ხვდა.

ო. ქორქია,
სპორტის ოსტატი.

• • •

ტექნიკური შედეგები

საერთო გუნდური: I. „ბურევესტნიკი“ — 1304,751 ქულა, II. „განთიადი“ — 1270,354, III. „დინამო“ — 1235,662. **ვაჟთა გუნდური:** I. „ბურევესტნიკი“ — 770,305, II. „განთიადი“ — 731,23, III — „სპარტაკი“ — 708,252; **ქალთა გუნდური:** I. „განთიადი“ — 539,124, II. „დინამო“ — 536,138, III. „ბურევესტნიკი“ — 534,445.

პირადი. ქალები. ოსტატები: I. ლ. გათენდაშვილი („დინამო“) — 73,625, II. მ. ჯინჭარაძე — 73,2, III. ც. ჭკადუა (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 72,05; **ოსტატობის კანდიდატები.** I. რ. სახარულიძე („დინამო“) — 74,4; II. გ. ჯღარკავა („განთიადი“) — 73,1, III. ე. გვალია („ბურევესტნიკი“) — 72,25. **ვაჟები. ოსტატები:** I. შ. აზარაშვილი („ბურევესტნიკი“) — 108,725, II. გ. ლოლაძე („დინამო“) — 107,575, III. ა. გნოლიძე („ბურევესტნიკი“) — 101,8; **ოსტატობის კანდიდატები.** I. ა. ნოზაძე („დინამო“) — 108,95, II. ე. სამხარაძე („სპარტაკი“) — 106,7, III. შ. რევიშვილი („განთიადი“) — 105,65; **პირველთარიანოსნები:** I. ზ. ასათიანი („სპარტაკი“) — 89,7.

• • •

სურათზე: შ. აზარაშვილი რგოლებზე ვარჯიშის დროს.
ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

მელბურნის ერთვნული ოლიმპიადა კლუბი „კოლონგში“

მოემწყო დევისის თასის წლევანდელ გათამაშებაში მონაწილე ჩოგბურთელთა გუნდების კენჭისყრა.

ევროპის „ა“ ჯგუფში გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ: ესპანეთი — ჰოლანდია, შვეიცია — სამხრეთ როდეზია, დიდი ბრიტანეთი — საფრანგეთი, ფინეთი — პორტუგალია, სსრ კავშირი — საბერძნეთი, იუგოსლავია — ახალი ზელანდია, იტალია — უნგრეთი, მოსკოვი — ირლანდია. პირველი მატჩები 5 მაისამდე ჩატარდება. ამ ჯგუფში გამარჯვებული ჩოგბურთელები საზონათშორისო ნახევარფინალში შეხვდებიან ამერიკის ზონაში გამარჯვებულ გუნდს.

ევროპის „ბ“ ჯგუფში უძლიერეს ნაკრებს საზონათშორისო ნახევარფინალური მატჩის ჩატარება აზიის ზონის უძლიერეს გუნდთან მოუწევს. ამ ჯგუფში გუნდები ასე დაწყვილდნენ: ბულგარეთი — თურქეთი, შვეიცარია — გფრ, ბელგია — პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია — ბრაზილია, ლუქსემბურგი — ნორვეგია, რუმინეთი — დანია, ირანი — ისრაელი, ავსტრია — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

ევროპის ჯგუფებში მეორე წრის ჩატარება განზრახულია 26 მაისამდე, მესამესი — 16 ივნისამდე, ხოლო ფინალური შეხვედრებისა — 21 აგვისტომდე. დევისის თასის გათამაშებაში ინგლისელთა მონაწილეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი „დია ტურნირების“ (პროფესიონალთა და მოყვარულთა ერთობლივი შეჯიბრებები) თაობაზე. ეს კონგრესი მარტში გაიმართება.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ჩოგბურთი

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ი. სკოგლარის აზრით

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მეოთხედფინალის მატჩები თვალსაჩინო ინტერესს და ცხოველ კომენტარს იწვევს. იუგოსლავია — საფრანგეთის გუნდების შეხვედრაში წინასწარ უპირატესობას იუგოსლავიელებს ანიჭებენ. თუმცა, ვინ იცის...

გთავაზობთ განთქმული იუგოსლავიელი თავდამსხმელის ი. სკობლარის ინტერვიუს. აღსანიშნავია, რომ სკობლარი კარგა ხანს თამაშობდა მარსელში და ამიტომ ყოველმხრივ იცნობს ფრანგულ ფეხბურთს.

● **რატომ აირჩია საფრანგეთის ნაკრებმა სათამაშო ადგილად მარსელი და არა, ვთქვათ, პარიზი?**

— ეს სრულიად შეგნებულად მოხდა. მარსელელი გულშემატკივრები გამოირჩევიან ნამდვილი ფანატიზმით და 90 წუთის განმავლობაში დაუღალავად ამხნევებენ თავიანთ გუნდს. მეტოქეებს მარსელში ყოველთვის უჭირთ.

● **ვინ მიგაჩნიათ საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავად?**

— „ნიცის“ თავდამსხმელი ჟ. ლუბე ნაღდად უძლიერესია საფრანგეთში. იგი სწრაფი, მუდამ კარს დამიზნებული, მებრძოლი ფორვარდია.

● **დანარჩენებზე რას იტყვით?**

— შესანიშნავი ფეხბურთელია მცველი ჯორკაეფი, რომელიც ჩემთან ერთად თამაშობდა მარსელში. იგი ძალიან ენერგიულია, მჭიდედ ეთამაშება თავდამსხმელებს. ძლიერია „სენტ-ეტიენის“ ცენტრალური მცველი ბოსკე. კვლავინდებურად სახიფათოა „ნანტის“ ცნობილი ცენტრალური თავდამსხმელი გონდე.

● **როგორ ფიქრობთ, საფრანგეთის ნაკრების ძალას დაცვა წარმოადგენს თუ თავდასხმა?**

— ძირითადი ძალა დაცვაშია. საფრანგეთში ძლიერი საკლუბო გუნდები არაა, მაგრამ ნაკრებს დიდ ყურადღებას აქცევენ. ჩვენ მძიმე ბრძოლა მოგველის ბელგრადშიც და მარსელშიც.

● **რას იტყვით იუგოსლავიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ რ. მიტიჩის გადაწყვეტილებაზე — არ მიიწვიოს უცხოეთში მოთამაშე იუგოსლავიელები?** (სკობლარი ახლა გფრის I ლიგის გუნდ „ჰანოვერში“ თამაშობს).

— რა თქმა უნდა, ეს ძალიან საწყენია. მე მინდა ვითამაშო იუგოსლავიის ნაკრებში, მით უმეტეს, მარსელის სტადიონზე. თუ მიტიჩის გადაწყვეტილება საბოლოოა, 3 აპრილს მარსელში მაინც გავემგზავრები... მაყურებლად.

„ასიანთა კლუბი“

ასეთი კლუბი დაარსდა ბულგარეთში. მასში შედიან ის თავდამსხმელები, რომლებმაც 100 და მეტი გოლი გაიტანეს ეროვნულ ჩემპიონატებში.

ჯერჯერობით კლუბში I ადგილზეა დევი, რომელმაც 146 გოლი გაიტანა (133 პლოვდივის „სპარტაკში“ და 13 — სოფიის „სპარტაკში“). II ადგილზეა კოტკოვი, რომელმაც სოფიის „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში 126 გოლი გაიტანა. ჯერჯერობით მხოლოდ VII ადგილი უკავია ასპარეზოვს, რომლის აქტივშია 105 გოლი.

• •

მოკლედ

● **ბუდაპეშტი.** ცნობილი უნგრელი არბიტრი ი. ეოლტი, რომელსაც ეკუთვნის საერთაშორისო რეკორდი მსაჯობაში (1000 ოფიციალური მატჩი, აქედან 48 — უმაღლეს დონეზე, ეროვნულ ნაკრებთა შორის), გამოეთხოვა მსაჯობას. მას არასოდეს მოუწევია თამაშაქო, არ დაულევია არც თუ ღვინო, ყავაც კი!

პირველი რეკორდი

დასავლეთის ქვეყნებში სულ უფრო პოპულარული ხდება ზამთრის სპორტის ახალი სახეობა — თოვლის ველოსიპედით შეჯიბრება. ჩვენ უკვე გაგაცანით ეს სახეობა. ვწერდით იმასაც, რომ თოვლის ველოსიპედით სრიალის ოსტატები საათში 150 კილომეტრამდე სისწრაფეს ავითარებენ. მაგრამ თურმე ზღვარი ეს როდი ყოფილა: ავსტრიელმა ე. ბრენტენრმა ერთ-ერთ შეჯიბრებაში საათში 164,5 კმ სისწრაფე უჩვენა. მისი შედეგი ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციამ (იგი 1961 წლიდან არსებობს) მსოფლიოს პირველ რეკორდად აღიარა.

თოვლის ველოსიპედისტთა I მსოფლიო ჩემპიონატმა, რომელიც შარშან გაზაფხულს გაიმართა პოფ-გაშტაინში, დასაბამი მისცა ახალი სახეობის საერთაშორისო აღიარებას.

ჯ. სანტოსს მწვრთნელობა სურს

38 წლის ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ჯალმა სანტოსმა განაცხადა, რომ ამიერიდან საბოლოოდ ანებებს თავს თამაშს და სურს მწვრთნელი გახდეს.

ჯ. სანტოსი 20 წლის მანძილზე გამოდიოდა პრო.ფესიულ კლუბებში. ჯერ სან-პაულუს „პორტუგეზაში“, ხოლო შემდეგ — „პალმეირასში“. ეს არის და ეს. ახლა ბრაზილიაში მხოლოდ ერთი ფეხბურთელია, რომელიც ჯ. სანტოსის მსგავსი სპორტული ერთგულებით გამოირჩევა — პელე. მან თამაში დაიწყო „სანტოსში“ და აქვე აპირებს კარიერის დასრულებას.

ჯ. სანტოსმა „პორტუგეზას“ და „პალმეირასში“ ჩაატარა 1200-ზე მეტი მატჩი, 98-ჯერ გამოვიდა ბრაზილიის ნაკრებში.

ბევრი შიმომხილველი ფიქრობს, რომ ფეხბურთის ისტორიას არ ახსოვს განაპირა მცველთა ისეთი წყვილი, როგორსაც ჯ. და ნ. სანტოსები შეადგენდნენ.

ზამთრის რესპუბლიკური საცურაო აუზი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ)

4-14 მარტი



წყალბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ: ჩვენი ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყალსნო სპორტკლუბი (მოსკოვი), მოსკოვის „ტორპედო“ და „ბურევესტნიკი“, მოსკოვის, თბილისის, ლვოვისა და კიევის „დინამო“, ლენინგრადის „ბალტიკა“, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო) და ვოლგოგრადის „სპარტაკი“.

დასაწყისი 17 ს.

ჯაჭვი ქვეყნები

● **მოსკოვი, 27 თებერვალი.** ორშიდელთა აქ გამართულ ტრადიციულ შეჯიბრებაში — ქალაქების მატჩში პირველობა მოიპოვა ვ. დრიაგინმა (ციროვი) — 497,25 ქულა. 15-კილომეტრიანი ტრასა ბრწყინვალედ გაირბინა ლენინგრადელმა მ. არტიუხოვმა, რომელმაც დღის საუკეთესო შედეგიც აჩვენა — 52.34,0. სწორედ ამის წყალობით ტრამპლინიდან ხტომაში მოპოვებული XVIII ადგილიდან არტიუხოვმა II ადგილზე გადაინაცვლა (458,76 ქულა). III ადგილზეა გრენობლის თეთრი ოლიმპიადის მონაწილე, 19 წლის რ. მაკარა (ლენინგრადი) — 453,94.

● **შალუნი (შვეცია), 27 თებერვალი.** აქ დიდი ინტერესი გამოიწვია მოთხილამურეთა ტრადიციულმა საერთაშორისო შეჯიბრებამ, რომლის მონაწილეთა შორის გრენობლის ოლიმპიური თამაშების 14 მედალოსანი იყო. 10 კილომეტრზე ქალთა რბოლაში გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონმა გუსტაფსონმა 37 წამით წააგო გამარჯვებულთან — ფინელ პუსულასთან (36.32). ასევე მეორე იყო გუსტაფსონი 5 კილომეტრზე რბოლაში (20.27). აქ კლავ პირველობდა პუსულა (20.16). 3×5 კილომეტრზე ესტაფეტაში ტოლი არ ჰყავდათ მასპინძლებს (მარტინსონი, სტრანდბერგი, გუსტაფსონი) — 55.38. საბჭოთა გუნდი II ადგილზეა — 56.27. მან უკან ჩამოიტოვა ფინეთისა და ნორვეგიის ძლიერი კოლექტივები. 30 კილომეტრზე ვაჟთა რბოლა მოიგო მსოფლიო ჩემპიონმა ეგენმა (ნორვეგია) — 1.42.52. ორშიდელთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა ა. ნოსოვმა (პერმი) — 434,35 ქულა.

● **ბერლინი, 27 თებერვალი. ადგილობრივ დარბაზში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ლიპიცელმა მძლეოსანმა, 17 წლის რიტა შმიდტმა. მან მძლეოსნობის ისტორიაში მეორე შედეგი აჩვენა სიმაღლეზე ხტომაში — 185 სმ. ჰოკეი ხტომაში ევროპის ჩემპიონმა ვ. ნორდვიგმა 510 სმ დაძლია, რაც სეზონის საუკეთესო შედეგია ევროპის დარბაზებისთვის. მარგიტ გუმელმა (გდრ) 17,62 მეტრზე ჰკრა ბირთვი.**

● **ოქსფორდი, 27 თებერვალი.** ინგლისისა და გფრ-ის მძლეოსანთა აქ გამართულ მატჩში ჰაინფრიდ ბირლენბახმა (გფრ) ევროპის ახალი მიღწევა დაამყარა დახურული დარბაზებისთვის: მან ბირთვი 19,37 მეტრზე ჰკრა.

● **კურჩესლორპი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), 27 თებერვალი.** ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲛᲒᲠᲘᲕ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ Კ. ᲜᲘᲛᲐ 100 ᲛᲔᲢᲠᲘ 10,1 ᲬᲐᲛᲨᲘ ᲒᲐᲘᲠᲑᲘᲜᲐ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲐ ᲤᲚᲝᲔᲡᲚᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ.

● **შრანკშურტი (გფრ), 27 თებერვალი.** სამოყვარულო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იააფ) აქ გამართულ სხდომაზე გადაწყვიტა ქალთა შეჯიბრებებში ამიერიდან ოფიციალურ დისტანციად ჩათვალოს რბენა 1500 მეტრზე. ამ მანძილზე პირველი ოფიციალური მსოფლიო რეკორდსმენი გახდა ინგლისელი ე. სმითი — 4.17,3 (ეს შედეგი შარშან 3 ივნისს იქნა ნაჩვენები).

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 6 УЗ 03967